საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარიამისეული „ქართლის ცხოვრება''

მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“, „ქართლის ცხოვრების“ ნუსხა, გადაწერილი 1633–46 ქართლის მეფის როსტომის (1632–58) მეუღლის მარიამის ბრძანებით, რის გამოც მას მარიამისეული ეწოდა. მ. „ქ. ც.“ დღემდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი უძვირფასესია. შეიცავს 932 გვერდს. დაწერილია მოსქო თეთრ ქაღალდზე ლამაზი მხედრულით და ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში.

ხელნაწერი აღმოაჩინა დ. ბაქრაძემ 1884. მანვე დაიწყო მ. „ქ. ც-ის“ მეცნიერული შესწავლა და რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომიც მიუძღვნა. შემდეგ ხელნაწერი შესწირა ახალდაარსებულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ-ბას. ამჟამად ინახება საქართვ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში. მ. „ქ. ც.“ შეიცავს სუმბატ დავითის ძის ქრონიკას, რაც „ქართლის ცხოვრების“ არცერთ მანამდე ცნობილ ნუსხაში არ მოიპოვებოდა და თამარ მეფის ისტორიას – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. მ. „ქ. ც-ში“ საქართველოს ისტორია გადმოცემულია XIV ს-მდე (გარდა ზემოთ დასახელებული ისტორიული ნაშრომებისა, მასში შედის ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებანი, „მატიანე ქართლისა“, დავით აღმაშენებლის ისტორია, ჟამთააღმწერლის თხზულება და სხვ.).

პუბლ.: ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული [ვარიანტი], ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1906.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის ნუსხის ე. თაყაიშვილისეული მარგინალიები, კრ.: ნარკვევები, თბ., 2009, ტ. 2; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977.